

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით განსაზღვრული
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის პირველი კვარტლის
ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის პირველ კვარტალში
შემოსულია სულ 19 წერილობითი მოთხოვნა, აქედან:

1 საჯარო მოთხოვნა კუთვნილებისამებრ, რეაგირებისათვის გადაეგზავნა ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერიას(რომლის თაობაზეც, ეცნობა მოთხოვნის ავტორს);

დაკმაყოფილებულია 16 საჯარო მოთხოვნა.

3 საჯარო მოთხოვნაზე 2 ორანიზაციას ეთქვა მოტივირებული უარი, საქართველოს ორგანული
კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლით განსაზღვრული საკრებულოს
უფლებამოსილებების საფუძველზე.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.


საჯარო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, სხვადასხვა
დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
უფროსს, ივანე ჟორჟოლიანს.

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი
სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ
საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი
პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის
საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის,
შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საკრებულოსათვის, ხარჯების გადახდის
ვალდებულება სასამართლოს მიერ დაკისრებული არ ყოფილა და სასამართლო ხარჯები ამ
მიმართულებით არ გაწეულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი



ივანე ჟორჟოლიანი